შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისი, პუშკინის ქუჩა №5-7 ს/კ 01.18.03.018.053

კონსტრუქციული დასკვნა (კორექტირებული პროექტი)

დირექტორი ნ. სილაგაძე

თბილისი 2020 წელი

ქ. თბილისი, პუშკინის ქუჩა №5-7 ს/კ 01.18.03.018.053

კონსტრუქციული დასკვნა (კორექტირებული პროექტი)

კორექტირება ითვალისწინებს:

1. **სართულებზე იატაკის ნიშნულების ცვლილებას (დაზუსტდა აზომვითი ნახაზით).**
2. **4.15 ნიშნულზე "ზ' ღერძთან შეიცვალა ლითონის კიბის კონფიგურაცია და შემცირდა ანტრესოლის ფართი.**
3. **26.30 ნიშნულზე "8-9" ღერძებში გათვალისწინებულია ლითონის კიბის მოწყობა სახურავზე ასასვლელად. სახურავზე გათვალისწინებულია გაგრილება, გათბობა, ვენტილაციის სისტემების დანადგარების მონტაჟი.**
4. **26.30 ნიშნულზე არსებულ ლითონის საჩრდილობელზე მსუბუქი გადახურვის და ტენტის მოწყობა ასევე საჩრდილობლის გარე კონტურზე ტრანსფორმირებადი, სლაიდური მინის მოწყობა, რომელიც ზამთრის პერიოდში უზრუნველყოფს ტერასაზე ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებას. საჩრდილობელზე ასევე მოეწყობა სარეკლამო წარწერა.**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები გეგმარებითი ხასიათისაა და გავლენას ვერ ახდენს შენობის საერთო მდგრადობაზე.

სარეკონსტრუქციო ობიექტი განთავსებულია ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, ს/კ 01.18.03.018.053 და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

ამჟამად შენობა არ ფუნქციონირებს, თავისუფალია და ჩატარებულია მზიდი კონსტრუქციების გამაგრებითი სამუშაოები, რომელიც ჩვენი ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ პროექტიც მაღალკვალიფიციურ დონეზეა დამუშავებული და ადგილზე შესრულების დონეც მაღალკვალიფიციურია.

განვიხილოთ ცალკეული ელემენტები:

1. საძირკველი: ჩვენს მიერ დამატებით იქნა ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა და შესწავლილი იქნა საძირკვლის კონსტრუქცია. მთლიანი შენობის საძირკველს წარმოადგენს გობური რკინაბეტონის ფილა სისქით 80 სმ და ეფუძნება თიხოვან გრუნტს;
2. კედლები: ყველა მზიდი კედელი, როგორც განივი, ასევე გრძივი განხორციელებულია აგურის წყობით სისქით 95 სმ. ორივე მხრიდან არის არმირებული ბადით და შებათქაშებულია ქვიშა-ცემენტის ხსნარით;
3. ღიობები: ყველა ღიობი მოჩარჩოებულია ლითონის კუთხოვანებით;

4. აგურის ზღუდარები: ასრულებს მზიდი კოჭების როლს და ორივე მხრიდან მოწყობილი აქვს შველერები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ჭანჭიკებით;

5. გადახურვის ელემენტები: ხის კოჭებზე, შუაში ბგერაიზოლაციით და ხის იატაკით, რომელიც ექვემდებარება შეცვლას;

6. კიბის უჯრედი განხორციელებულია ლითონის კოსოურებზე.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს ამორტიზირებული სართულშუა გადახურვების შეცვლა ანალოგიური მსუბუქი ტიპის გადახურვების მოწყობით, ორსტადიანი ბეტონირებით შუაში პენოპლასტის შემამსუბუქებელი და ბგერასაიზოლაციო ფენის მოწყობით, რომლის წონა იდენტურია არსებული ხის კოჭების გადახურვისა, რომელშიც ბგერასაიზოლაციო ფენას წარმოადგენს 30 სმ სისქის მიწის ფენა და სხვა ნარჩენები.

არსებული სახურავი წარმოადგენს ქანობიან სახურავს მეტალოკრამიტის ბურულით, რომელიც შეიცვლება ბრტყელი სახურავით და მოეწყობა ტერასა და ლიფტების სამანქანო განყოფილება.

დასკვნა

შენობა ადრე ჩატარებული გამაგრებითი სამუშაოების შემდგომ იმყოფება საუკეთესო მდგომარეობაში. ცალსახად ვადასტურებთ, რომ ჩასატარებელი სამუშაოები გავლენას ვერ მოახდენს არსებული შენობის კონსტრუქციებზე.

კონსტრუქტორი ზ.სილაგაძე